ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს

მაყვალა გვარამაძის (პ/ნ 01027024073)

წარმომადგენელ გიგა კვერენჩხილაძის (პ/ნ 26001005836)

მის.: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების 5

განცხადება

პროექტის განხილვაში ჩართვის და მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით # 01.14.16.015.487 მრავალსართულიანი კორპუსის მშენებლობის დაუშვებლობის შესახებ

მოგახსენებთ, რომ ჩემი მარწმუნებელი საკუთრებაში ფლობს უძრავ ქონებას, რომლის საკადასტრო კოდია **01.14.16.015.111 (დანართი 1 - ამონაწერი რეესტრიდან;).**

რამდენადაც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ჩვენს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია **01.14.16.015.487, იგეგმება საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა. ჩვენი ინფორმაციით განცხადების ნომერია** AR1925718.

მოგახსენებთ, რომ ჩვენ მივმართეთ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შეკითხვით იმის დასადგენად, იქონიებს თუ არა მიმდებარე შენობების მდგრადობაზე უარყოფით გავლენას **01.14.16.015.487 ნაკვეთზე დაგეგმილი მშენებლობა.**

ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 11.11.2022 წლის დასკვნით (დანართი 2 - ექსპერტიზის დასკვნა) „ქალაქ თბილისში ე.წ. ნუცუბიძის ფერდობზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი 01.14.16.015.487), ასევე მისი მიმდებარე ფერდობების გეოლოგიური, მორფოლოგიური, გეოდინამიკური და საინჟინრო - გეოლოგიური პირობებიდან (ფერდობის მაღალი დახრილობა, კლდოვანი ქანების შრის წოლის ელემენტების თანხვედრა ფერდობის ექსპოზიციასა და მისი ზედაპირის დახრილობასთან, ქანების გამოფიტვის და ნაპრალოვნების ხარისხი და სხვა ფაქტორები) გამომდინარე, <u>ფერდობზე საინჟინრო საქმიანობის განხორციელებამ (ფერდობის კონფიგურაციის შეცვლა, ჩამოჭრა, ღრმა ქვაბულების მოწყობა და ა.შ.) შესაძლებელია გამოიწვიოს მისი ამგები ქანების წონასწორობის დარღვევა და ქანების მასივის (ბლოკების) მყისიერი გადაადგილება (დაცურება) ფერდობის ძირის მიმართულებით, რამაც შესაბამისად, შესაძლოა გამოიწვიოს მოცემულ ნაკვეთზე და მის მიმდებარედ არსებული შენობა-ნაგებობების (გზები საცხოვრებელი სახლები და სხვა ინფრასტრუქტურა) დაზიანება/ნგრევა.“</u>

ამავე დასკვნაში მითითებულია, რომ „მოსალოდნელი გეოდინამიკური მოვლენების თავიდან აცილების მიზნით, დაგეგმილი სამუშაოების განხორციელებამდე, საჭიროა მოხდეს ნაკვეთის (საკადასტრო კოდი 01.14.16.015.487) და მისი მიმდებარე ფერდობის დეტალური საინჟინრო-

გეოლოგიური/გეოტექნიკური გამოკვლევა და კვლევის შედეგების გათვალისწინებით, შესაბამისი გაანგარიშების საფუძველზე მოხდეს საპროექტო გადაწყვეტილებების მიღება".

როგორც ვხედავთ, ექსპერტიზის დასკვნა კატეგორიულად ამბობს, რომ 01.14.16.015.487 უძრავ ქონებაზე დაუშვებელია მშენებლობა, თუ არ იქნა ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული საკითხები გათვალისწინებული. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით **საფრთხე ექმნება როგორც უშუალოდ დაგეგმილ მშენებლობას, ასევე უკვე აშენებულ მიმდებარე შენობა-ნაგებობს.**

გთხოვთ, არ შეითანხმოთ არქიტექტურული პროექტი და არ გასცეთ მშენებლობის ნებართვა, თუ არ იქნება ექსპერტიზის დასკვნაში აღნიშნული საკითხები გათვალისწინებული. ასევე გთხოვთ, ჩემი მარწმუნებელიც ჩართოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში, როგორც დაინტერესებული პირი, ვინაიდან მის კუთვნილ შენობა-ნაგებობის მდგრადობას შეიძლება საფრთხე შეექმნას 01.14.16.015.487 უძრავ ქონებაზე დაგეგმილი მშენებლობით.

დანართი 1 - ამონაწერი რეესტრიდან;
დანართი 2 - ექსპერტიზის დასკვნა;
დანართი 3 - მინდობილობა.

გიგა კვერენჩხილაძე
30.11.2022 წელი

დანართი 1

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.14.16.015.111

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882021161063 - 05/03/2021 14:04:37

მომზადების თარიღი
12/03/2021 15:44:02

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	ვაკე		
01	14	16	015/111

მისამართი: ქალაქი თბილისი, ანდრო ჭილაიას ქუჩა, N 41

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 600.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: 15;
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 საერთო ფართი 225.67 კვ.მ (მათ შორის: I სართული ფართით 111.90 კვ.მ; II სართული ფართით 113.77 კვ.მ)

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882015738180 , თარიღი 24/12/2015 13:07:32
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 30/12/2015

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება N1-159 , დამოწმების თარიღი:13/01/2009 ,ნოტარიუსი ე. მსხილაძე
- ბრძანება Nლეგ-266 , დამოწმების თარიღი:30/07/2012 , ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი თბილისის არქიტექტურის სამსახური
- გადაწყვეტილება , NM19009782 , გაფორმების თარიღი:04/06/2019 16:19:59 , საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
მაყვალა გვარამაძე,P/N: 01027024073

მესაკუთრე:
მაყვალა გვარამაძე

ალწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

- საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა: 102019443052 22/11/2019 20:47:08
  მაყვალა გვარამაძე ს/ნ 777777779 პ/ნ 01027024073
  საგანი: მთელი ქონება, მთელი ქონება
  საფუძველი: შეტყობინება, N00729379, 22.11.2019, შემოსავლების სამსახური

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს აუტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ–ფოსტით: info@napr.gov.ge

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU



თბილისი, 0162, ი. ჭავჭავაძის გამზ. 84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის გამზ. 2ა
ბათუმი, 6000 პ. მელიქიშვილის ქუჩა 102

84 Chavchavadze Ave., Tbilisi 0162
2a I. Chavchavadze Ave., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili Str., Batumi 6000

+995 32 2 258 484 | info@expertiza.gov.ge | expertiza.gov.ge

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU

№ 5007799922

11/11/2022

5007799922

მოქალაქე მურთაზ მწათობიშვილს

(საქართველო, თბილისი, ჭილაიას41)

ბატონო მურთაზ,
ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2022 წლის 4 ნოემბრის რეგისტრაციის N1007932722) საფუძველზე, გიგზავნით N007864822 დასკვნას.

დანართი:
ექსპერტის დასკვნა 08 ფურცლად;

პატივისცემით,

მერაბ მურღულია
ბიუროს უფროსის მოადგილე

ილიისი, 0162, ი. ჭავჭავაძის გამზ. 84
იაისი 4600, ი. ჭავჭავაძის გამზ. 2ª
უმი, 6000 პ. მელიქიშვილის ქუჩა 102

84 Chavchavadze Ave., Tbilisi 0162
2ª I. Chavchavadze Ave., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili Str., Batumi 6000

+995 32 2 258 484 | info@expertiza.gov.ge | expertiza.gov.ge

5007799922

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან ... იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი ____________

თარიღი 14.11.2025.

(ხელმოწერა)

007864822

ექსპერტის დასკვნა № 007864822

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამწიშნავი:

მისამართი: საქართველო, თბილისი, ჭილაიას41

სახელი და გვარი: მურთაზ მწათობიშვილი

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები:

მირზა მესხი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს ნორმატიული, ტექნიკური და ექსპერიმენტალური კვლევების სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 15 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

1. გთხოვთ, ჩაატაროთ გეოლოგიური კვლევა ქალაქ თბილისში ლისის ფერდზე მდებარე საკვეთის საკადასტრო კოდით 01.14.16.015.493 შემდგომი მისი სამშენებლოდ გამოყენების თვალსაზრისით და გვითხრათ შესაძლებელი იქნება თუ არა მრავალსართულიანი კორპუსის მშენებლობა
2. გთხოვთ, დაგვიდგინოთ იქონიებს თუ არა მიმდებარე შენობების მდგრადობაზე უარყოფით ზეგავლენას და შეუქმნის თუ არა საფრთხეს მათ მდგრადობას, ქალაქ თბილისში ლისის ფერდზე მდებარე ნაკვეთზე საკადასრო კოდით 01.14.16.015.487 მრავალსართულიანი კორპუსის მშენებლობა, როგორც მშენებლობის პროცესში ისე ექსპლუატაციის დროს.
3. მოცემული პროექტების განხორციელებისთვის საჭირო იქნება დიდი რაოდენობის კლდოვანი გრუნტების ექსკავაცია, რომელიც დაარღვევს ტერიტორიაზე არსებული კლდოვან სტრუქტურას, აღნიშნული გარემოება იქონიებს თუ არა უარყოფით ზეგავლენას მიმდებარე შენობების და ტერიტორიის მდგრადობაზე.
4. გთხოვთ ასევე გვითხრათ, რომ აღნიშნული მშენებლობისათვის საჭირო მძიმე ტექნიკის ექსპლუატაციით გამოწვეული (ექსკავატორი, კოდალა და ა.შ) ვიბრაციები მოახდენს თუ არა უარყოფით ზეგავლენას მიმდებარე შენობა-ნაგებობებზე და ტერიტორიაზე.

შემოსვლის თარიღი: 04/11/2022 წ

გასვლის თარიღი: 11/11/2022 წ

დასკვნა

ქალაქ თბილისში ე.წ. ნუცუბიძის ფერდობზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი 01.14.16.015.487), ასევე მისი მიმდებარე ფერდობების გეოლოგიური, მორფოლოგიური, გეოდინამიკური და საინჟინრო-გეოლოგიური პირობებიდან (ფერდობის მაღალი დახრილობა, კლდოვანი ქანების შრის წოლის ელემენტების თანხვედრა ფერდობის ექსპოზიციასა და მისი ზედაპირის დახრილობასთან, ქანების გამოფიტვის და ნაპრალოვნების ხარისხი და სხვა ფაქტორები) გამომდინარე, ფერდობზე საინჟინრო საქმიანობის განხორციელებამ (ფერდობის კონფიგურაციის შეცვლა, ჩამოჭრა, ღრმა ქვაბულების მოწყობა და ა.შ.) შესაძლებელია გამოიწვიოს, მისი ამგები ქანების წონასწორობის დარღვევა და ქანების მასივის (ბლოკების) მყისიერი გადაადგილება (დაცურება) ფერდობის პირის მიმიმართულებით, რამაც შესაბამისად, შესაძლოა გამოიწვიოს მოცემულ ნაკვეთზე და მის მიმდებარედ არსებული შენობა-ნაგებობების (გზები, საცხოვრებელი სახლები და სხვა ინფრასტრუქტურა) დაზიანება/ნგრევა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ნაკვეთის (საკადასტრო კოდი 01.14.16.015.487) მიმდებარედ უკვე აშენებული ნაგებობების მშენებლობის პროცესში რამდენიმე უბანზე, შრეები სხვადასხვა სიღრმეზეა ჩაჭრილი, რაც დამატებით, უარყოფით ფაქტორს წარმოადგენს ფერდობის საერთო მდგრადობის თვალსაზრისით.

ამიტომ, მოსალოდნელი გეოდინამიკური მოვლენების თავიდან აცილების მიზნით, დაგეგმილი სამუშაოების განხორციელებამდე, საჭიროა მოხდეს ნაკვეთის (საკადასტრო კოდი 01.14.16.015.487) და მისი მიმდებარე ფერდობების

8

დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური/გეოტექნიკური გამოკვლევა და კვლევის შედეგების გათვალისწინებით, შესაბამისი გაანგარიშების საფუძველზე მოხდეს საპროექტო გადაწყვეტილებების მიღება (იხ. გამოკვლევის ტექსტი და ფოტოილუსტრაცია).

რაც შეეხება ქალაქ თბილისში ლისის ფერდზე მდებარე ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით 01.14.16.015.493), თქვენს მიერ მოთხოვნილი გეოლოგიური კვლევის ჩატარებას. ამასთან დაკავშირებით გთხოვთ, წარმოადგინოთ კვლევის ტექნიკური დავალება და მოცემული ნაკვეთის მფლობელის თანხმობა კვლევის ჩატარებაზე.

მირზა მესხი

გამოკვლევა

დამკვეთის, მურთაზ მწათობიშვილის მომართვის (ბიუროს რეგისტრაციის N 1007932722) შესაბამისად, კვლევის ობიექტს წარმოადგენს ქალაქ თბილისში ე.წ. ნუცუბიძის ფერდობზე მდებარე ნაკვეთი (საკადასტრო კოდი 01.14.16.015.493; 01.14.16.015.487) არსებული ფერდობი. აღნიშნულის საფუძველზე მიმდინარე წლის 09 ნოემბერს, ადგილზე დათვალიერდა გამოსაკვლევი უბანი, მოხდა გეოდინამიკური თვალსაზრისით ტერიტორის ვიზუალური შეფასება და არსებული სიტუაციის დასურათება.

ქალაქ თბილისში ე.წ. ნუცუბიძის ფერდობზე მდებარე ნაკვეთი (საკადასტრო კოდი 01.14.16.015.487) და მისი მიმდებარე ტერიორია (E 0478363; N 4620262) წარმოადგენს მაღალი დახრილობის, სამხრეთ-აღმოსავლეთური ექსპოზიციის მქონე ფერდობს. ფერდობი გეოლოგიური თვალსაზრისით წარმოდგენილია ზღვიურ-დანალექი წარმოშობის ქვიშაქვების, ალევროლითებისა და არგილიტების თხელი, საშუალო და სქელი შრეების მორიგეობით. ტერიტორიის ვიზუალური შეფასების საფუძველზე დგინდება, რომ აღნიშნული ქანები ზედაპირზე ძლიერ გამოფიტული და ნაპრალოვანია, ნაპრალები სხვადასხვა სიგანისაა და ზედაპირულ ნაწილში ღიაა. ზოგადად დაკვეთებულია ტერიტორიის ამგები ქანების ფიზიკური და მექანიკური მახასიათებლების მნიშვნელობები. შრეების წოლის ელემენტები - დაქანების აზიმუტი 160-186° და დახრის კუთხე (38/45°) თანხვედრაშია ფერდობის ექსპოზიციასა და მისი ზედაპირის დახლილობასთან. გარკვეულ უბნებში შრეები ლოკალურად არის ჩამოცურებული/ჩამოშლილი (იხ. ფოტოილუსტრაცია). აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ფერდობის დღეის მდგომარეობით მყიფე წონასწორობაშია.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან დამომდინარე, მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.14.16.015.487) და მის მიმდებარედ, მთლიანად ფერდობის გეოლოგიური, მორფოლოგიური, გეოდინამიკური და საინჟინრო-გეოლოგიური პირობებიდან (ფერდობის მაღალი დახრილობა, კლდოვანი ქანების შრის წოლის ელემენტების თანხვედრა ფერდობის ექსპოზიციასა და მისი ზედაპირის დახრილობასთან, ქანების გამოფიტვის და ნაპრალოვნების ხარისხი და სხვა ფაქტორები) გამომდინარე, ფერდობზე საინჟინრო საქმიანობის განხორციელებამ (ფერდობის კონფიგურაციის შეცვლა, ჩამოჭრა, ღრმა ქვაბულების მოწყობა და ა.შ.) შესაძლებელია გამოიწვიოს, მისი ამგები ქანების წონასწორობის დარღვევა და ქანების მასივის (ბლოკების) მყისიერი გადაადგილება ფერდობის ძირის მიმართულებით, რამაც შესაბამისად, შესაძლოა გამოიწვიოს მოცემულ ნაკვეთზე და მის მიმდებარედ არსებული შენობა-ნაგებობების (გზები, საცხოვრებელი სახლები და სხვა ინფრასტრუქტურა) დაზიანება/ნგრევა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ნაკვეთის (საკადასტრო კოდი 01.14.16.015.487) მიმდებარედ უკვე აშენებული ნაგებობების მშენებლობის პროცესში რამდენიმე უბანზე, შრეები სხვადასხვა სიღრმეზეა ჩაჭრილი, რაც დამატებით, უაროფით ფაქტორს წარმოადგენს ფერდობის საერთო მდგრადობის თვალსაზრისით.

ამიტომ, მოსალოდნელი გეოდინამიკური მოვლენების თავიდან აცილების მიზნით, დაგეგმილი სამუშაოების განხორციელებამდე, საჭიროა მოხდეს ნაკვეთის (საკადასტრო კოდი 01.14.16.015.487) და მისი მიმდებარე ფერდობების დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური/გეოტექნიკური გამოკვლევა და კვლევის შედეგების გათვალისწინებით, შესაბამისი გაანგარიშების საფუძველზე მოხდეს საპროექტო გადაწყვეტილებების მიღება.

მირზა მესხი

007864822

ექსპერტის დასკვნა № 007864822

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: მერაბ აბაზაძე

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეჟავა

007864822

ექსპერტის დასკვნა № 007864822

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2



ფოტო 3



ფოტო 4



ფოტო 5



ფოტო 6



ფოტო 7



ფოტო 8



ფოტო 9



ფოტო 10



ფოტო 11



ფოტო 12



ფოტო 13



ფოტო 14



ფოტო 15



ფოტო 16



ფოტო 17



ფოტო 18



ფოტო 19



ფოტო 20

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო



დანართი 3

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

56248277579922

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

ფიზიკური პირის მიერ პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N221601582

რეგისტრაციის თარიღი

22.11.2022 წ

ნოტარიუსი: ზაალ ზაქარაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი. N 47
ტელეფონი: 595 07 52 44

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიაო დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას **ოცდაორი წლის ოცდაორ ნოემბერს** მე, ნოტარიუსს საქართველოში ზაალიკ ზაქარაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი N47-ში, პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით დამიკავშირდა **მაყვალა გვარამაძე,** რომელმაც განაცხადა, რომ ამჟამად იმყოფება თბილისში და სურს ნოტარიუსის წინაშე ონლაინ რეჟიმში გასცეს მინდობილობა და დაამოწმოს იგი სანოტარო წესით.

მე დავადგინე სანოტარო მოქმედების მონაწილის პირადობა სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონული მონაცემთა ბაზის მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **მაყვალა გვარამაძემ** (დაბადების თარიღი: 07.05.1971 წელს, დაბადების ადგილი - საქართველო, თბილისი პირადი N 01027024073, მცხოვრები: **საქართველო, ქალაქი თბილისი, ანდრო ჭილაიას ქუჩა, N 41**-ში) მომმართა. ვადასტურებ, რომ ნამდვილად **მაყვალა გვარამაძე** მესაუბრა და მოხდენილი იქნა მისი იდენტობა სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონული მონაცემთა ბაზის მეშვეობით. მიმწდობმა პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით წარმომიდგინა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი - **პირადობის მოწმობა N 18ID87112**

სანოტარო მოქმედების შესრულებას ესწრებოდნენ: **მეგი იაკობიძე** (დაბადების თარიღი: 03.08.1989 წელს, დაბადების ადგილი - საქართველო, ჭიათურა პირადი N 54001038134, მცხოვრები: **ჭიათურა ს. ითხვისი 34–ე ქ. N 32**-ში), როგორც განმცხადებლის ნდობით აღჭურვილი პირი (ხელმომწერი) და **უჩა ხვედელიძე** (დაბ: 01.08.1990 წ, დაბადების ადგილი- საქართველო, რუსთავი პირადი N 35001106944, მცხოვრები: **საქართველო, ქალაქი რუსთავი, XVII მიკრო/რაიონი, N 7, ბინა 9**-ში), როგორც მოწმე.

ვადასტურებ, რომ სანოტარო მოქმედების მონაწილეთა ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნდა. მე, ნოტარიუსმა, სანოტარო მოქმედების მონაწილეებს განვუმარტე სანოტარო მოქმედების შინაარსი და მისი შესრულების სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე განვუმარტე, რომ „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის“ 26-ე მუხლის შესაბამისად: მოწმე უნდა იყოს წერა-კითხვის მცოდნე, მოწმეს არ უნდა ჰქონდეს შეზღუდული სამოქალაქო ქმედუნარიანობა და სანოტარო მოქმედებით არ უნდა იღებდეს სარგებელს პირდაპირი და არაპირდაპირი სახით, მოწმე არ შეიძლება იყოს სანოტარო მოქმედების მონაწილე რომელიმე მხარისა და ან ნოტარიუსის ნათესავი ადმავალი და დაღმავალი ხაზით მესამე რიგის ჩათვლით. ყველა მათგანმა განაცხადა, რომ მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებები არ არსებობენ. მარწმუნებელს განვუმარტე, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. ამის შემდეგ **მარწმუნებლმა** ხელმოწერისა და მოწმის თანდასწრებით მიკარნახა შემდეგი შინაარსის მინდობილობა:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **მაყვალა გვარამაძე** ამ მინდობილობით ვენდობი **გიგა კვერენჩხილაძე** (დაბადების თარიღი: 08.11.1976 წელს, დაბადების ადგილი - საქართველო, ლანჩხუთი პირადი N 26001005836) და ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

იყოს ჩემი წარმომადგენელი ნებისმიერ ორგანიზაცია-დაწესებულებებში, მათ შორის სახელმწიფო ორგანიზაცია-დაწესებულებებში, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან, მერიაში, მერიის დაქვემდებარებაში არსებულ ნებისმიერ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან, თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში, ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურში, საკრებულოში, მუნიციპალურ ორგანოებში, ზედამხედველობის სამსახურში, არქიტექტურის სამსახურში, შეიტანოს/მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი სახის განცხადება/ცნობა/ინფორმაცია/საჩივარი, მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციულ წარმოებაში, ჩემი სახელით მოაწეროს ხელი ნებისმიერი სახის დოკუმენტაციას და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება ზემოაღნიშნული დავალების შესასრულებლად.

წინამდებარე მინდობილობის ტექსტი შევადგინე მე, ნოტარიუსმა, რომელიც პირდაპირი კომუნიკაციის რეჟიმში წავუკითხე განმცხადებელს. განმცხადებელმა დამიდასტურა, რომ მინდობილობის ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას და რომ მინდობილობის გაცემისას იგი არ იმყოფება რაიმე სახის ფიზიკური, ფსიქიკური ან რაიმე სხვა სახის ზეწოლის ქვეშ და რომ მის ნაცვლად მინდობილობაზე ხელის მოწერის უფლებას ანდობს **მეგი იაკობიძეს.**

18

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით.

მინდობილობა დამოწმებულია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცა მხარეს, ხოლო ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში.

გადახდილია საქართველოს კანონის სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფო საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადები საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების 32-ე მუხლის შესაბამისად 60,00 ლარი, **აგრეთვე დღგ 10.80 (თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის)** და სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური ხუთი ლარი თანახმად 39-ე მუხლისა. სულ გადახდილი საზღაური 75,80 ლარი.

განმცხადებლის ნაცვლად მისივე თხოვნით

ხელს აწერს **მეგი იაკობიძე** _____

მოწმე **უჩა ხვედელიძე** _____

ნოტარიუსი: ზაალი ზაქარაშვილი

